პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 26 იანვარი, 1943 წ. № 20 (6645). ფასი 20 კაპ.

თუ მტერი არ ნებდება,—მას სპობენ

წითელი არმია განუწყვეტლივ ავიწროებს რკალს გერმანელების გარშემო სტალინგრადის რაიონში და ელეტს ჰიტლერელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომელნიც თავიანთი სიცოცხლით ზღავენ საკუთარ დანაშაულთაც და თავიანთი პირსისხლიანი მბრძანებლის გონებაჩლუნგ აზარტსაც. გერმანელმა გენერლებმა არ მიიღეს სტალინგრადთან მათთვის წარდგენილი კაპიტულაციის პირობები. მათ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს თავიანთ ჯარისკაცებს.

ქალაქ ველიკიე ლუკში გარშემორტყმულმა გერმანელთა გარნიზონმა უარი სთქვა იარაღის დაყრაზე. იგი გაჟლეტილ იქნა. გერმანელთა გარნიზონმა სცადა ბრძოლით გაჭრილიყო ალყაშემორტყმულ ქალაქ და რკინიგზის დიდ კვანძ მილეროვოდან. იგი თითქმის სავსებით გაჟლეტილ იქნა.

მტრის ჯარები, რომელნიც კავკაზოსშის რკინიგზის ხაზის აღმოსავლეთით იმყოფებიან, სავსებით გარშემორტყმული არიან, და ჩვენი ჯარები სპობენ მათ.

საბჭოთა მეომრების შეტევა გრძელდება... ჰიტლერელებს ზედიზედ ატყდებათ თავს უდიდესი ძალის დარტყმა. მათი ფრონტი გარღვეულია უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით. ამაოდ ებღაუჭებიან ისინი ყოველ ზღუდეს. რაც უფრო ძლიერია მათი შეუპოვრობა, მით უფრო მეტი ზარალი მოსდით მათ. ჩაიშალა ზამთრის კამპანიის გეგმა, რომლის იმედიც ჰქონდათ ჰიტლერელებს, როცა შეცდომაში შეჰყავდათ გერმანელი ხალხი და თავიანთი ვასალები. გერმანული ფაშისტური პრესა რაღაც უაზროს ლღლლუღლებს „ელასტიკურ თავდაცვაზე“. განზრახ „ფრონტის გამოსწორებაზე“. სისულელეა! ჰიტლერელი ოკუპანტები იძულებული არიან უკან დაიხიონ წითელი არმიის დარტყმების გამო.

გამანადგურებელი ომი! სწორედ ასეთი ომი წამოიწყეს ჰიტლერელებმა. ამ აზრით დაესხნენ ისინი თავს ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას. ქურდულად გადმოლახეს თუ არა ჩვენი საზღვარი, მათ დაიძახეს, რომ უკვე „სავსებით მოსპეს წითელი არმია“. ეს უაზრო და სულელური სიცრუე იყო. მათ არ მოუსპიათ და არც შეეძლოთ მოესპოთ წითელი არმია, მაგრამ მათ იწყეს მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მხეცურად, საზიზღრად მოსპობა. ისინი არ მალავდნენ თავიანთ განზრახვებს. მათ აშკარად გამოსთქვეს თავიანთი ყაჩაღური თეორია „ტოტალური“ ომისა—ხალხთა ჟლეტის ომისა.

მაგრამ იმ დღეებში, როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი თავიანთი დროებითი წარმატებებით სტკბებოდნენ, როცა ისინი უდიდესი ზარალის ფასად წინ მოიწევდნენ ჩვენს ქვეყანაში და უკან სტოვებდნენ ცეცხლწაკიდებულ ქალაქებსა და სოფლებს, სახრჩობელებს, მრავალ ათასობით საბჭოთა ადამიანების გვამებს,—ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „გერმანელ დამპყრობთ სწადიათ გამანადგურებელი ომი ჰქონდეთ სსრ კავშირის ხალხებთან. რას იზამ, თუ გერმანელებს სწადიათ ჰქონდეთ გამანადგურებელი ომი, ისინი ამ ომს მიიღებენ“.

მათ მიიღეს იგი!

გერმანელ დამპყრობთა ყაჩაღურ „ტოტალურ“ ომს საბჭოთა ხალხმა უპასუხა საყოველთაო-სახალხო სამამულო ომით, რომლის ამოცანებიც წმიდა და სამართლიანია. მტერმა იგემა ხალხის წინააღმდეგობის ძალა. მოვსპოთ ოკუპანტები, მოვსპოთ ყველა, ვინც იარაღით ხელში ხელჰყოფს ჩვენი ხალხის თავისუფლებას, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას, ხალხის ღირსებას!—ეს საყოველთაო-სახალხო ძახილი გახდა. ამან აანთო ყოველი საბჭოთა ადამიანის გული. ამან გამოაწრთო წმიდა სიძულვილში წითელი არმიის მებრძოლის სული. ამან აღჭურვა სამხედრო ოსტატობით საბჭოთა მეომრები და საბჭოთა სახალხო შურისმგებელნი.

წითელი არმია თავს არიდებს ამაო, უსარგებლო სისხლისღვრას. იგი სიცოცხლეს უნარჩუნებს იმ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებმაც იარაღი დაჰყარეს. იგი ჟლეტს მტერს, თუ მტერი წინააღმდეგობას ეწევა, არ ნებდება. ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ომი ომია. წითელ არმიას ტყვედ მოჰყავს გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები, თუ ისინი ტყვედ ნებდებიან, და უნარჩუნებს მათ სიცოცხლეს. წითელი არმია სპობს გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, თუ ისინი უარს ამბობენ იარაღის დაყრაზე და იარაღით ხელში ცდილობენ დაიმონონ ჩვენი სამშობლო. გაიხსენეთ დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის სიტყვები: „თუ მტერი არ ნებდება,—მას სპობენ“.

ჩვენი ჯარების შეტევის ორი თვის განმავლობაში—1942 წლის 19 ნოემბრიდან 1943 წლის 19 იანვრამდე—დაგვნებდნენ. ტყვედ წამოვიყვანეთ 200.000-ზე მეტი გერმანელი, იტალიელი, უნგრელი და რუმინელი. ამავე ხნის განმავლობაში გერმანელ ფაშისტთა არმიამ მარტო მოკლულთა სახით 500.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. მათ უნდა დავუმატოთ მძიმედ დაჭრილნი, რომელნიც მწყობრში ვეღარ დაბრუნდებიან. ასეთია გერმანელ ფაშისტთა არმიის ზარალი ცოცხალი ძალის მხრივ. ხოლო, გარდა ამისა, ჰიტლერულ არმიას უდიდესი ზარალი მოუვიდა მატერიალურ საშუალებათა მხრივ. ამ ხნის განმავლობაში მან დაჰკარგა 6.000-ზე მეტი ტანკი, 12.000-მდე სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 3.500-მდე თვითმფრინავი, შეიარაღების მრავალი ათასი სხვა საშუალებანი, მრავალი მილიონი ყუმბარა და ვაზნა.

ასე დღითი-დღე დნება, ძირი ეთხრება ჰიტლერული არმიის ძალას, ხოლო ცოცხალი ძალისა და მატერიალურ საშუალებათა მოსპობასთან ერთად ძირი ეთხრება მტრის მორალურ სიმტკიცეს. მითი გერმანელთა არმიის უძლეველობის შესახებ გაქარწყლებულ იქნა წითელი არმიის მიერ ომის ჯერ კიდევ პირველი წლის ბრძოლებში. მსოფლიოს ხალხებმა დაინახეს, რომ შეიძლება დაარტყა გერმანელებს და შეიძლება დაამარცხო ისინი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წარმოებულ ბრძოლებში ჩვენი სახელოვანი მეომრები აქარწყლებენ გერმანელთა საომარი ოსტატობის, მათი ვითომ განსაკუთრებული საომარი ხელოვნების შარავანდედს. მსოფლიოს ხალხები ხედავენ, რომ წითელი არმია ამ მზრვაც სჯობნის ჰიტლერულ არმიას. ჰიტლერული გერმანიის მორალური ავტორიტეტი, რომელიც საფუძვლიანად არის შერყეული ჰიტლერის ბიჟური გეგმების ჩაშლით, სულ უფრო და უფრო ირყევა წითელი არმიის დარტყმებით, რომელიც შეტევას ეწევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ვრცელი ფრონტის ბევრ უბანზე.

წითელი არმია რაც უფრო წარმატებით ანადგურებს მტერს, მით უფრო ხშირად გვნებდებიან ტყვედ მტრის ჯარისკაცები და ოფიცრები. უიმედობისა და განწირულობის შეგნება ფეხს იკიდებს მათს რიგებში. გერმანელთა მოკავშირეები — იტალიელი, უნგრელი, რუმინელი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებიც სასაკლაო პირუტყვივით არიან მორეკილნი საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მათ არავითარი ინტერესი არა აქვთ, გარდა პირდაპირი ყაჩაღობისა და ძარცვისა, უკვე მასობრივად გვნებდებიან ტყვედ.

მთელი ეს საზარბაზნე ხორცი, რომელიც წონით არის გაყიდული მოღალატეების ანტონესკუს, ჰორტისა და სხვების მიერ, გერმანელთა მორჩილებაში იმყოფებოდა, სანამ მოქმედებდა გერმანელთა ძლიერების ჰიპნოზი. წითელი არმიის წარმატებითმა შეტევამ სურათი შესცვალა. 22 იანვრის ბოლოსათვის მარტო ვორონეჟის ფრონტის რაიონში წამოყვანილი ტყვეების რიცხვი 64.000 კაცამდე ავიდა. კიდევ უფრო ადრე დაიწყეს ტყვედ დახვრეტა რუმინელებმა, ამასთან მთელ სამხედრო ნაწილებად, გენერლებიანად და შტაბებიანად.

წითელი არმიის დარტყმებით სუსტდება და ირღვევა კავშირი გერმანელებსა და მათს მოკავშირეებს შორის—საერთო მძარცველური ხროვის თანამონაწილეებს შორის. „წითელი არმიის დარტყმები ბოლოსდაბოლოს გამოიწვევენ გახრწნასა და დაშლას ამ ავაზაკური ბრბოისას, რომელიც გაერთიანდა იმ ხალხების ძარცვისა და ამოხოცვის მიზნით, რომლებმაც არ მოისურვეს გამხდარიყვნენ მონები, არ მოისურვეს დამორჩილებოდნენ ჰიტლერულ თვითნებობას“. (ამხანაგ **ჩერჩილის მოხსენებიდან**).

მრისხანე, ულმობელი ძალით უტევს წითელი არმია მტერს, ცელავს, ამსხვრევს მის სიმაგრეებს, ანადგურებს მის რიგებს, არღვევს კავშირს ნაწილთა შორის, გარს ერტყმის და ჟლეტს მათ. ჰიტლერელი ავაზაკები თავს ინუგეშებენ და გერმანელებს ილუზიებით ატყუებენ, თითქოს მოახერხებენ გამაგრებას, მოცდას, ძალების კვლავ დაგროვებას... წითელი არმია განუწყვეტელი დარტყმებით აქარწყლებს ამ ილუზიებს.

მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული—ეს ჩვენ ვიცით. მას შეუძლია ახალი ავანტიურები ჩაიდინოს. მაგრამ იმის აღდგენა, რაც მოსპობილია და ისპობა წითელი არმიის მიერ, მას არ ძალუძს. ჩვენი ამოცანაა—გავაგრძოთ მტრის ცოცხალი ძალის ულმობლად ჟლეტა, ვურტყათ მას, არ მივცეთ გონს მოსვლის საშუალება, მოუმზადებელს დავესხათ თავს. შევიტანოთ მტრის რიგებში ურწმენობა, შეშფოთება და პანიკა. რაც უფრო მეტს დავარტყამთ მტერს, მით უფრო მალე შეიგნებს იგი თავისი მდგომარეობის განწირულობასა და უიმედობას.

„პრავდის“ მოწინავე, 24/I.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ე. კოჩეტკოვისა, ი. ე. მაკსარევისა, ა. ა. მოროზოვისა და ბ. ბ. მუზრუკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

წარმოების ორგანიზაციის, ტანკების კონსტრუირებისა და გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის და ქარხნების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება **და** გადაეცეთ **ლენინის ორდენი** და **ოქროს medali „ნამგალი და ურო“:**

1. დიმიტრი ერმოლოზის-ძე **კოჩეტკოვს**—№ 76 ქარხნის დირექტორს.
2. იური ევგენის-ძე **მაკსარევს** — კომინტერნის სახელობის ქარხნის დირექტორს.
3. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **მოროზოვს** — კომინტერნის სახელობის ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს.
4. ბორის გლების-ძე **მუზრუკოვს** — ორჯონიკიძის სახელობის ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გოლუბოვი

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 20 იანვარი.

ბრძანება

უმაღლესი მთავარსარდლისა

სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, სტალინგრადის, ვოლხოვისა და ლენინგრადის ფრონტების ჯარებისადმი

ორი თვის შეტევითი ბრძოლების შედეგად წითელმა არმიამ გაარღვია ფართო ფრონტზე გერმანელ ფაშისტთა ჯარების თავდაცვა, დაამარცხა მოწინააღმდეგის ას ორი დივიზია, ხელთ იგდო 200 ათასზე მეტი ტყვე, 13.000 ქვემეხი და ბევრი სხვა ტექნიკა და წინ წაიწია 400 კილომეტრამდე. ჩვენმა ჯარებმა სერიოზული გამარჯვება მოიპოვეს. ჩვენი ჯარების შეტევა გრძელდება.

ვულოცავ სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, დონის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, კალინინის, ვოლხოვის, ლენინგრადის ფრონტების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე და მათს მოკავშირეებზე—რუმინელებზე, იტალიელებსა და უნგრელებზე სტალინგრადთან, დონზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ვორონეჟთან, ველიკიე ლუკის რაიონში, ლადოგის ტბის სამხრეთით.

მადლობას ვუცხადებ სარდლობასა და მეომარ ჯარებს, რომლებმაც გაანადგურეს ჰიტლერელთა არმიები სტალინგრადის მისადგომებზე, გაარღვიეს ლენინგრადის ბლოკადა და გაათავისუფლეს გერმანელი ოკუპანტებისაგან ქალაქები — კანტემიროვკა, ბელოვოდსკი, მოროზოვსკი, მილეროვო, სტარობელსკი, კოტელნიკოვო, ზიმოვნიკი, ელისტა, სალსკი, მოზდოკი, ნალჩიკი, მინერალნიე ვოდი, პიატიგორსკი, სტავროპოლი, არმავირი, ვალუიკი, როსოში, ოსტროგოჟსკი, ველიკიე ლუკი, შლიხელბურგი, ვორონეჟი და მრავალი სხვა ქალაქი და ათასობით დასახლებული პუნქტი.

წინ, გერმანელი ოკუპანტების გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

უმაღლესი მთავარსარდალი ი. სტალინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 25 იანვარი.

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სტარობელსკი

24 იანვარს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური სტარობელსკი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ჩვენმა ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი ვორონეჟი

25 იანვარს ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევაზე გადავიდნენ ვორონეჟის რაიონში, უკუაგდეს გერმანელთა ნაწილები და მთლიანად დაიკავეს ქალაქი ვორონეჟი. მდინარე დონის აღმოსავლეთი ნაპირი ქალაქის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში აგრეთვე გაწმენდილია გერმანელ ფაშისტთა ჯარებისაგან.

ვორონეჟთან წამოყვანილი ტყვეების რაოდენობა 24 იანვრის დამლევისათვის 11.000 ჯარისკაცითა და ოფიცრით გაიზარდა. ამრიგად, ვორონეჟის ფრონტის რაიონში წამოყვანილ ტყვეთა საერთო რაოდენობამ 75.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს მიაღწია.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა 22 რჩეული დივიზიის განადგურება დასასრულს უახლოვდება. ფაშისტ მხეცს სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ვუჭერთ ყელზე მარყუჟს, და ახლოა ის ჟამი, როდესაც ვოლგის სიმაგრე—ქალაქი სტალინგრადი და მთელი სტალინგრადის ოლქი სავსებით გაიწმინდება გერმანული სიბილწისაგან.

ყოველი მტკაველი სამშობლო მიწა-წყლისათვის, ჩვენი სტალინგრადის თითოეული სახლისათვის, თითოეული ქუჩისათვის, თითოეული უბნისათვის შეუპოვარი და მძიმე ბრძოლების დღეებში დონის ფრონტის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობას წითელი არმიის ძლიერების განსამტკიცებლად სახსრების შეგროვებაში და თავიანთი დანაზოგიდან უკვე შეიტანეს სახელმწიფო ბანკის სალაროში 25 მილიონი მანეთი.

გთხოვთ ჩვენი ფულით ააგოთ სატანკო კოლონა და მიაკუთვნოთ მას „სტალინგრადის დამცველის“ სახელი.

გარწმუნებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ ჩვენი ფრონტის მეომრები, რიგითი მებრძოლით დაწყებული და გენერლით გათავებული, გამსჭვალული არიან ურყევი გადწყვეტილებით, მოკლე ხნის განმავლობაში დაამთავრონ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება, რათა სხვა ფრონტების ჯარებთან ერთად კიდევ უფრო სწრაფად გარეკონ დასავლეთისაკენ და მოსპონ საძულველი ფაშისტები, რომელთაც ხელი აღმართეს ჩვენი წმიდა სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

როკოსოვსკი, ტელეგინი, ჩუიანოვი, გალაჯევი.

ДОНСКОЙ ФРОНТ. ТОВ. РОКОССОВСКОМУ, ТЕЛЕГИНУ, ЧУЙАНОВУ, ГАЛАДЖЕВУ.

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა სტალინგრადის მამაც დამცველებს—დონის ფრონტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 25 მილიონი მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „სტალინგრადის დამცველის“ ასაგებად.

ი. სტალინი

ГенералаМ-ЛейтенантаНИКОЛАЕВА, ГенералаМАЙОРА МЕХОНОШИНА, ПОЛКОВНИКА КАНИУШКИНА, ПОЛКОВНИКА БРИЗГИНА

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა 6 არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს, ლენინგრადის მამაც დამცველებს, რომლებმაც 6.308.602 მანეთი შეაგროვეს ტანკების, საბრძოლო თვითმფრინავების და არტილერიის ასაგებად.

ი. სტალინი

შორეული აღმოსავლეთის ფრონტი
ამხანაგებს ეპანჩინსკოს, სმოროდინოვს, ლუკაშინს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა შორეული აღმოსავლეთის ფრონტის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 16 მილიონი მანეთი შეაგროვეს მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXV წლისთავის სახელობის სატანკო კოლონის ასაგებად.

ფრონტის პირადი შემადგენლობის სურვილი შესრულებულ იქნება.

ი. სტალინი

საქ. კ. პ. (ბ) კალინინის საოლქო კომიტეტის პლენუმი

კალინინი, 22 იანვარი (საკდესი). შესდგა საქ. კ. პ. (ბ) კალინინის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ბოიკოვის მოხსენება სსოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ამოცანების შესახებ.

ჰიტლერელმა ბანდიტებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს ოლქის 22 რაიონის მეურნეობას. ფაშისტმა არამზადებმა დასწვეს კოლეურნეობა ათასობით სახლ-კარი, დაიტაცეს თესლი, გარეკეს ცოცხალი გამწევი ძალა. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს ყველა სსოფლო-სამეურნეო სამუშაო და მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს. ამის შედეგად, ოლქი წამოყენებულია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. გარდა ამისა, 20 რაიონი, მათ შორის 8 განთავისუფლებული რაიონი, წამოყენებულია სსრ კავშირის. მიწსახკომის გარდამავალი დროშის მიღების კანდიდატებად. ომიანობის დროის მეორე გაზაფხულისათვის მზადება ფრონტებზე ჩვენ ჯარების წარმატებით გამოწვეული უდიდესი პატრიოტიზმის ვითარებაში მიმდინარეობს.

პლენუმმა მიიღო ვრცელი გადაწყვეტილება, რომელშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი თესლის გამოყოფის უსწრაფესი დამთავრებისა, მინერალური სასუქის გატანისა და სსოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტისათვის.

მწერალ ა. ს. სერაფიმოვიჩის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

მოსკოვის მწერალთა კლუბში გაიმართა უზუცესი რუსი მწერლის ა. ს. სერაფიმოვიჩის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ა. ს. სერაფიმოვიჩი არის ავტორი მოთხრობა „რკინის ნიაღვრისა“, რომელიც ერთ-ერთი უაღრესად პოპულარული წიგნია საბჭოთა კავშირში. ეს მოთხრობა 84-ჯერ გამოიცა, მისმა საერთო ტირაჟმა 1,5 მილიონ ცალს გადააჭარბა. ა. ს. სერაფიმოვიჩის ნაწარმოებთ თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა.


ვორონეჟი
ზაპადნოვკა
ბაბურკინი
ფეიფრიკოვკა
ქალაქი
ოლიკოვკა
ბეზარკა
ბოგატოიე
ბაბანოვკა
ბარანოვკა
ბოლშაია
ბეკეტოვკა
ბეკეტოვსკაია
ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ.
ბ. ბ. ბ.

წითელი არმიის პირადი შემადგენლობის ჯანსაცმლის ფორმა

მაზარა



საბჭოთა კავშირის მარშლის მუნდირი



გენერლის მუნდირი

გენერლის კიტელი



მარშლის ქუდი



გენერლის ქუდი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

24 იანვრის საღამოს ცნობა

24 იანვარს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარებმა, გადამწყვეტი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური სტარობელსკი, დიდი დასახლებული პუნქტები ბავლოვკა, შულგინკა, ბახმუტოვკა, რკინიგზის სადგური კრასნოოზეროვკა.

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრები პეტჩანოკოპსკოე, ბოლოტოვსკაია, დიდი დასახლებული პუნქტები — კრასნაია პოლიანა, ნოვო-მიხაილოვსკოე, ბეზომასნოე, კრასნოოქტიაბრსკი, კამენნობროდსკაია, ვოსკრეხენსკაია და რკინიგზის სადგური პეტჩანოკოპსკაია.

გასული კვირის განმავლობაში, 17-დან 23 იანვრამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და აეროდრომზე მოსპობილია მტრის 162 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 75 თვითმფრინავი დაკარგეთ.

1-დან 15 იანვრამდე ჩრდილოეთის ფლოტის ავიაციის მიერ ბარენცის ზღვაში ჩაძირულია მტრის 9 ტრანსპორტი და ერთი სადარაჯო გემი 51.000 ტონა საერთო წყალწყვილისა.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, იგერიებდნენ კონტრიერიშებს და განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოუშვეს ქვეითი ჯარი და 40-მდე ტანკი. თავდასხმა ერთელად მტერმა მოახერხა რამდენადმე შეეფიეროვინა ჩვენი ქვეგანაყოფები. საბჭოთა მებრძოლებმა მტერი მოჰქანცეს, მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, კონტრატაკებით უკუაგდეს ჰიტლერელები და აღადგინეს მდგომარეობა. 6 შენაერთმა დაიკავა ექვსი დასახლებული პუნქტი და სდევნის მტერს.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. გვარდიის 6 ნაწილმა გასტეხა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დაიკავა ქალაქი სტარობელსკი. წამოდებული და დიდი ბალი. სხვა უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა გაბედული თავდასხმა მოაწყეს რკინიგზის სადგურზე, გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის ორი ეშელონი და დაიჭიანეს მტრის ჯავშნიანი მატარებელი.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას ეწეოდნენ. ჩვენი ტანკისტები სპობდნენ მტრის გარშემორტყმული ნაწილების განცალკევებულ ჯგუფებს. დღის განმავლობაში წამოყვანილია 1.600 ტყვე. დასახლებულ პუნქტ ვოლოკონოვკის გარნიზონი, რომელმაც უარი სთქვა იარაღის დაყრაზე, სავსებით მოსპობილია. 6 ნაწილის მებრძოლებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი, რომლის ქუჩებიც დათვლილია მტრის 360 გვამი. ამ დასახლებული პუნქტისათვის ბრძოლებში ხელთ ვიგდეთ 18 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი, 7 ნაღმსატყორცნი, სამარი მასალათა საწყობი და 2 სასურსათო საწყობი.

* * *

ამიერ-კავკასიის ფრონტზე 6 შენაერთის მებრძოლები წინ მიიწევდნენ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ქალაქ ერმავირის მისადგომებზე ბრძოლებში გაწყვეტილია 600-მდე ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია მტრის 8 ტანკი. 6 ნაწილმა გადალახა მრავალრიცხოვანი სიმაგრეები დიდი დასახლებული პუნქტის გარეუბნებში და შეიჭრა მის ჭიჩებში. სასტიკ ხელჩართულ შეტაკებათა შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს ეს დასახლებული პუნქტი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 4 დაზიანებული ტანკი, 6 ქვემეხი, 15 ავტომანქანა, 17 ტყვიამფრქვევი, ბევრი შაშხანა, გრანატი და სხვა საჭურველი. ხელთ ვიგდეთ 3 საწყობი ფურაჟიანად და სურსათიანად.

* * *

ლენინგრადის ოლქში მოქმედი რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა მოაწყო მარცხი მტრის სამხედრო ეშელონისა, რომელიც ფრონტის ზონისაკენ მიდიოდა. დამტვრეულია ორთქლმავალი, 2 პლატფორმა ავტომანქანებიანად, 14 ვაგონი სამარ მასალიანად და საჭურველიანად. ამ რაზმის პარტიზანთა სხვა ჯგუფმა დახოცა 42 ჰიტლერელი და დაწვა 2 სასურსათო საწყობი.

* * *

გერმანელთა სარდლობას, საბჭოთა კავშირიდან გერმანიის ფრონტზე გერმანელთა ჯარებს უდიდეს ზარალთან დაკავშირებით, ოკუპირებული ქვეყნებიდან გადმოჰყავს დივიზიები აღმოსავლეთში. სამხრეთ-დასავლეთის ერთერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილი არიან გერმანელთა 304-ე ქვეითი დივიზიის 575-ე პოლკის ობერეფერიტორი და ჯარისკაცი ალბერტ ეიუპე და კონრად ფოგელი. ტყვეებმა განაცხადეს: „ჩვენი პოლკი საფრანგეთში იმყოფებოდა საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში. გასული წლის 15 დეკემბრის პოლკი მიიღო ბრძანება გამოსულიყო დიუნკერკიდან. არავინ იცოდა, სად მივდიოდით. მხოლოდ გზაში მივხვდით, რომ რუსეთში მივყავდით. პოლკი დაკომპლექტებულია უმთავრესად ხნიერი ჯარისკაცებით. რუსებთან პირველსავე შეხვედრაში პოლკის ორ ბატალიონს მძიმე ზარალი მოუვიდა“.

გერმანელთა მე-7 სატანკო დივიზიის მე-7 გრენადერთა მოტორიზებული პოლკის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა ჰაინც ბაიერმა განაცხადა: „მე-7 სატანკო დივიზია საფრანგეთში, ბორდოს რაიონში იმყოფებოდა. 1942 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დივიზია მთელი შემადგენლობით წამოვიდა აღმოსავლეთის ფრონტზე. ძალიან დიდ ხანს მოვდიოდით. ყველა სადგური გაქედილია, იგრძნობა ორთქლმავლების მწვავე სიმცირე. მხოლოდ 5 ვაგონს გადმობარგდა ჩვენი პოლკი რკინიგზის ერთ სადგურში ფრონტის ხაზიდან 40-50 კილომეტრზე“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი როსტოვის ოლქის სოფელ ბალაბანოვკაში გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ: „სოფლით მოსავალმა გერმანელთა სატანკო ნაწილმა მხეცურად გაუსწორა ანგარიში მშვიდობიან მოსახლეობას. გერმანელი პოლკოვნიკის ბრძანებით ჰიტლერელებმა შეარჩიეს კოლმეურნეთა 17 ოჯახი, სოფლის გარეთ გაიყვანეს და ტყვიამფრქვევით დახვრიტეს. ერთი დღის განმავლობაში ფაშისტმა ჯალათებმა დახვრიტეს 85 ქალი, ბავშვი, მოხუცი და ავადმყოფი. გერმანელები სახლებში იჭრებოდნენ და მოსახლეობას სძარცვავდნენ. ძარცვას თან ახლდა მშვიდობიან მცხოვრებთა საშინელი ამტჩად აგდება“. აქტს ხელს აწერენ სოფელ ბალაბანოვკის მცხოვრებნი: ა. დემიანენკო, დ. რაიშაკოვი, ა. კუჩმაევი და სამხედრო მოსამსახურეები — მაიორი ობლაკი, კაპიტანი კუროჩკინი, და მე-3 რანგის სამხედრო ექიმი ესიპოვიჩი.

25 იანვრის დილის ცნობა

24 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები სტალინგრადის რაიონში, ვორონეჟის სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში, დონის ქვემოწელის, სევერნი დონეცის რაიონში და ლადოგის ტბის სამხრეთით განაგრძობდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სამხრეთის ფრონტზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. 6 ნაწილმა მოიგერია გერმანელთა კონტრიერიში და უკანდახეული მტრის კვალდაკვალ შეიჭრა ძლიერ გამაგრებულ დასახლებულ პუნქტში და დაიკავა იგი. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელთა 3 დამწვარი ტანკი. ხელთ ვიგდეთ 2 თვითმავალი ქვემეხი, ჯავშნიანი მანქანა, 11 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი, 39 ავტომატი, ბევრი შაშხანა და სამარი მასალა. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს ორი დიდი დასახლებული პუნქტი.

* * *

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლები სწარმოებდა ერთი დასახლებული პუნქტის ახლოს, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან-ხელში. ღამით ჩვენმა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე და ხელჩართულ ბრძოლაში გაანადგურეს მტერი. ჰიტლერელებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი დაჰკარგეს და უკან დაიხიეს. ჩვენს ჯარებს დარჩათ სამარი მასალების საწყობი, ნარცელეულის საწყობი, 46 ავტომანქანა და ბევრი იარაღი.

* * *

ვორონეჟის ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ლიკვიდირებულია მტრის ჯარების კიდევ ერთი გარშემორტყმული ჯგუფი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 1.100 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 260 ავტომანქანა, 15 ქვემეხი, 48 ტყვიამფრქვევი და 13 ნაღმსატყორცნი. 6 ნაწილის მებრძოლებმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს ერთი დასახლებული პუნქტი და ხელთ იგდეს 4 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 17 ტყვიამფრქვევი, 19 ავტომანქანა, საწყობი ტანკების სათადარიგო ნაწილებიანად და 2 რადიოსადგური.

* * *

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გვარდიელმა კაზაკებმა ბრძოლებით წაიწიეს წინ 30-40 კილომეტრით და გასწყვიტეს 800-მდე ჰიტლერელი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 7 ქვემეხი, 40 ავტომანქანა და 50 საზიდარი სამხედრო ქონებიანად, სამარი მასალების 2 საწყობი, აგრეთვე 2.000 სული რქიანი საქონელი და 15.000 ცხვარი, რომლებიც გერმანელებს მოსახლეობისათვის წაერთმიათ.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა შჩორსის სახელობის რაზმის პარტიზანებმა სამი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 21 ვაგონი და 5 პლატფორმა ავტომანქანებიანად. მარცხის დროს მოკლული და დაჭრილია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა რაზმის პარტიზანები მტრის გარნიზონს დაესხნენ თავს. სასტიკ ხელჩართულ ბრძოლაში გაწყვეტილია 67 ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ოლქის დემიანსკის რაიონის სოფელ გლუხოე დემიდოვოს მცხოვრებლებმა სიმონ მარტინოვმა, არტემი ვოლკოვმა და პეტრე ელინმა გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ განაცხადეს: „ჰიტლერელებმა სოფლის ყველა მცხოვრები მთლიანად გაძარცვეს. პირველსავე დღეებში გერმანელებმა გლეხებს წაართვეს პირუტყვი, პური, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები და შიმშილით სიკვდილისათვის გასწირეს მოსახლეობა. ყველა მამაკაცსა და ქალს, აგრეთვე ბავშვებს აიძულებდნენ ემუშავნათ სიმაგრეთა მშენებლობაზე 14-16 საათს დღე-ღამეში. ფაშისტი ურჯულკები აბუჩად იგდებდნენ გლეხებს და შემოიღეს გაროზგვა. მოკლე ხნის მანძილზე სოფელში შიმშილით მოკვდა 40 კაცზე მეტი“.

* * *

ლიონში (საფრანგეთი) თავისუფალმა მსროლელებმა გერმანელთა სამხედრო ეშელონს სროლა აუტეხეს. ჟანლისში ფრანგთა ჯგუფმა მოაწყო მატარებლის მარცხი. 5 ვაგონი გერმანელთა ჯარისკაცებიანად მდინარეში გადაეგარდა. ამიენის ერთ-ერთ რესტორანში, რომელიც გაჭედილი იყო ჰიტლერელებით, აფეთქება მოხდა. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ათეული გერმანელი.

საბჭოთა კავშირისადმი სოლიდარობის მიტინგი მონრეალში

ოტავა, 23 იანვარი (საკდესი). საზოგადოებრივმა კომიტეტმა „რუსეთისადმი დახმარების კანადის ფონდი“ მონრეალში გამართა მიტინგი, რომელსაც 12.000 კაცი დაესწრო. მიტინგი საბჭოთა კავშირისადმი კანადის ხალხის სიმპათიის მკაფიო დემონსტრაცია იყო. სიტყვები წარმოსთქვეს კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა, მიტინგში მონაწილეობის მისაღებად მონრეალს სპეციალურად ჩასულმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მეუღლემ ელეონორა რუზველტმა, კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრმა გოდბუტმა და კანადის სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმა. მიტინგის დამსწრე საპატიო სტუმართა შორის იყო სსრ კავშირის დესპანი ამბ. გუსევი.

კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა მიტინგზე წაიკითხა კანადის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი მისალმება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის საჭიროება.

ელეონორა რუზველტმა თავის სიტყვაში განაცხადა: „დღეს ჩვენ სათანადოს მივუზღავთ საბჭოთა კავშირს, რომელიც ჩვენი ნოკავშირეა. რუსები თავიანთ მიწა-წყალზე ეწეოდნენ და დღემდე ეწევიან საუცხო ბრძოლას ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. მე არასოდეს არა ვყოფილვარ რუსეთში, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ რუსები თავიანთი ისტორიის პირველი დღეებიდანვე დიდ სიყვარულს იჩენდნენ თავიანთი მშობლიური მიწა-წყლისადმი და მგზნებარედ და ტულადად იცავდნენ ამ მიწა-წყალს“. ელეონორა რუზველტმა აღნიშნა, რომ ინგლისში საბჭოთა კავშირისადმი დახმარების კამპანიას დიდი წარმატება აქვს, და განაცხადა, რომ რუსებს ამჟამად თავის მხრებზე გადააქვთ გერმანიის ავიაციის კონცენტრირებული სიმძლავრის სიმძიმე და ამით დიდ ბრიტანეთს აშორებენ ამ სიმძლავრეს.

კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრმა გოდბაუტმა თავის მოკლე სიტყვაში მოიწოდა კანადელებს გადამწყვეტი დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა ელჩმა ამბ. გუსევმა თავის სიტყვაში მადლობა გადაუხადა მიტინგის მომწყობთ, ქალბატონ ელეონორა რუზველტს, კანადის პრემიერ-მინისტრ მაკენზი კინგს და კვებეკის პროვინციის პრემიერ-მინისტრ გოდბაუტს. ამბ. გუსევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აწარმოოს ბრძოლა ჰიტლერიზმის საბოლოოდ მოსპობამდე.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ბრიტანეთის ჯარები გუშინ, ტრიპოლის დაკავების შემდეგ, განაგრძობდნენ წინსვლას დასავლეთისაკენ. მტრის მოტორიზებული კოლონები ჩქარა იხევენ უკან.

23 იანვარს ბილადრიან ინგლისის მსუბუქმა სამხედრო ხომალდებმა დაბომბეს მტრის პატარა ნავსადგური ზუარა, რომელიც 70 მილზე მდებარეობს ტრიპოლის დასავლეთით. იერიშის შედეგად აღნიშნულია აფეთქებანი და დიდი ხანძრები. ყველა ხომალდი თავის ბაზაში დაბრუნდა ისე, რომ არავითარი ზარალი არ მოსვლია.

ტრიპოლის დაკავებით მოკავშირეთა ავიაციას საშუალება მიეცა იერიში მიიტანოს ღერძის სახელმწიფოთა ყველა კომუნიკაციასა და ბაზაზე ტუნისსა და სიცილიას შუა.

ქალაქი ტრიპოლი — ტრიპოლიტანიის დედაქალაქი და მთავარი ნავსადგური — ყველაზე უფრო დასახლებული პუნქტია იტალიის ჩრდილოეთ აფრიკაში. იქ დაახლოებით 110.000 კაცი ცხოვრობს. ამ უმნიშვნელოვანესი ნავსადგურის დაკავება ინგლისელთა ჯარების დიდ წარმატებას წარმოადგენს.

სუსისა და სფაქსის განუწყვეტელი ბომბარდირება რომმელს საშუალებას უსამთხვევს ტრიპოლის დაკარგვის შემდეგ გამოიყენოს ეს ბაზები თავისი ჯარების მოსამარაგებლად. მთელი დახმარება მან ახლა შეუძლია მიიღოს მხოლოდ ტუნისით ან ბიზერტთან, რომლებიც



მოებდა დაახლოებით 20 მილზე კაირუანის ჩრდილო-დასავლეთით. ფრანგებმა მოიგერიეს მტრის ყველა იერიში და გადაადგეფეს თავიანთი ძალები. უსენტიდან 9 მილზე ჩრდილოეთით მაროკოს ჯარებმა მოსპეს გერმანელთა რაზმი და წამოიყვანეს ტყვეები, მათ შორის შტაბის სამი ოფიცერი. აღმოსავლეთ საჰარაში იარაღი დაჭყარა მტრის რამდენიმე საგუშაგომ. წამოიღებულია სამხედრო საჭურველი და წამოყვანილია ტყვეები. მოკავშირეთა ავიაციამ გააფთრებული თავდასხმები მოახდინა მტრის მთელ რიგ მნიშვნელოვან ობიექტებზე.

ინგლისის სამხედრო მინისტრის გამოსვლა რადიოთი

ზრიპოლის აღების გამო

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). როგორც ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, ტრიპოლის აღებასთან დაკავშირებით რადიოთი სატყვა წარმოსთქვა სამხედრო მინისტრმა გრიგმა, რომელმაც განაცხადა: „ტრიპოლის აღება პრაქტიკულად წარმოადგენს აფრიკაში იტალიის იმპერიის მოსპობის დამთავრებას. როგორც რუსეთის, ისე ინგლისის არმიამ უკან მოიტოვა შავბნელი დღეები, უკანდახევის დღეები. ჩვენ გვწამს, რომ ახლა მდგომარეობა ორივე არმიისთვის გადაჭრით შეიცვალა. ჩვენ გვწამს, რომ ორივე არმია სათანადო როლს შეასრულებს ღერძის სახელმწიფოთა მოსპობის საქმეში.

აღმოსავლეთ აფრიკაში, იტალიის იმპერიისაგან, რომელიც შესდგებოდა კირენაიკის, ტრიპოლიტანიის, ერიტრეის, იტალიის სომალისა და აბისინიისაგან. ყველას, ვინც ომამდე იტალიაში ყოფილა, ახსოვს ლონჯნენგები, რომლებითაც ფაშისტები კედლებს აჭრელებდნენ: „მუსოლინი მუდამ მართალია“, „დუჩეს შეცდომა არასოდეს არ მოსდის“, „ხმელთაშუა ზღვა იტალიის ტბა არის“. ახლა თვითონ იტალია გერმანიის კოლონიად იქცა“.

გრიგმა დაწვრილებით დახატა მე-8 არმიის ოპერაციების მიმდინარეობა ელ-ალამეინთან შის მიერ მოპოვებული გამარჯვების მომენტიდან ტრიპოლის დაკავებამდე და დასასრულ განაცხადა:

„1940 წელს იტალიის იმპერიას აკავებდა ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცი. მას შემდეგ მუსოლინიმ ლიბიაში გაგზავნა იტალიელთა კიდევ რვა დივიზია, რომლებსაც ჰიტლერმა გერმანელთა ხუთამდე დივიზია მიუმატა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის პირდაპირ რამდენიმე საათის შემდეგ ამ ურდოებისაგან არცერთი შეიარაღებული ჯარისკაცი აღარ დარჩება იმ მიწა-წყალზე, რომელიც ოდესღაც იტალიას ეკუთვნოდა. მე-8 არმიის წინაშე ახალი ჰორიზონტები იშლება, და გენერალ ალექსანდრის ძლევამოსილი ჯარების თვალი მიპყრობილია ბრძოლის ახალი ასპარეზისაკენ — დასავლეთისაკენ“.

ინგლისის ჯარებმა დაიკავეს კასფელ-ბენიგო.

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის საგანგებო იუწყება, მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს კასტელ-ბენიტო (ტრიპოლის სამხრეთით). აქ მდებარე აეროდრომების დაკავებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

დასავლეთისაკენ უკანდახეულმა რომმელის ჯარებმა მიაღწიეს მარეთის ხაზს, რომელიც გამაგრებულია გერმანელების მიერ ჯერ კიდევ 1941 წლის დამდეგს და რომელიც ტუნისის საზღვრიდან დაახლოებით 60 მილზე მდებარეობს. თუ მათ აქ ვერ მოახერხეს ფეხის მოკიდება, მაშინ რომმელის ჯარები უკვე ვეღარ შესძლებენ შეაჩერონ მერვე არმიის შემდგომი წინსვლა.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 24 იანვარი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 23 იანვარს ღამით ინგლისის ავიაცია კვლავ დაესხა თავს წყალქვეშა ნავების ბაზას ლორიანში. 20 წუთის განმავლობაში ჩამოყრილ იქნა დიდძალი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბები, რაც შედეგად ბევრი ხანძარი გაჩნდა. მძიმე ბომბდამშენთა სხვა შენაერთი თავს დაესხა დასავლეთ გერმანიის მნიშვნელოვან ობიექტებს.

გერმანიის რამდენიმე თვითმფრინავმა ბომბები ჩამოჰყარა სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის მთელ რიგ პუნქტებში. ერთ-ერთ პუნქტში არის მსხვერპლი.

კამათი შვეიცარიის რიკლდაგში

სტოკჰოლმი, 23 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთი „სოციალ-დემოკრატენი“ იუწყება, დეპუტატმა ბრანდტმა (სოციალ-დემოკრატი), რომელმაც მონაწილეობა მიიღო შვეიცარიის რიკსდაგში გამართულ კამათში, განაცხადა, რომ „შვეიცარიის ტერიტორიაზე გერმანელ ჯარისკაცთა ტრანზიტით გატარება ტვირთად აწევს შვედების სინდისს. ყოველ-ხრივ გაგებულმა შვეიცარიის ნეიტრალიტეტმა უნდა გამოიწვიოს შვებულებაში მიმავალ გერმანელ ჯარისკაცთა შვეიცარიით მგზავრობის „შეწყვეტა“. ბრანდტმა წინადადება შეიტანა, იფიქრეთ შვეიცარიის დიპლომატიური წარმომადგენლობის შექმნაზე ნორვეგიის მთავრობასთან, რომელიც ლონდონში იმყოფებაო, და განაცხადა, რომ ნორვეგიაში ებრაელთა დევნამ აღშფოთება გამოიწვია შვედეთს შორის. შვეიცარის ეკლესიამ, განაცხადა მან, უკვე გამოსთქვა აზრი ამის თაობაზე, მაშ რატომ არ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი რიკსდაგმაც? დეპუტატმა ფრიზენმა (სახალხო პარტია) თავის სიტყვაში მოითხოვა მთავრობისგან, სერიოზულად განიხილოს შვეიცარიის გერმანიის ტრანსპორტების გაშვების შეწყვეტის საკითხი.

დეპუტატმა პეტერსონმა (სახალხო პარტია) განაცხადა, რომ თუ შვეიცარიის მთავრობა ნეიტრალიტეტს გადაუხვევს, ხალხი ამის წინააღმდეგ უნდა წავიდესო. პეტერსონმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია თავი შეიკავოს იმ მოქმედების კრიტიკისაგან, რაც ნეიტრალიტეტს არღვევს, და მოუთხრო რიკსდაგს, რომ ერთი გერმანელი სამხედრო პირი, რომელიც შვეიცარიაში გამოიქცა, გერმანიას გადასცეს. „რა უფლებით, — იკითხა პეტერსონმა, — და რა კანონთა საფუძველზე მოქმედებს ხელისუფლება, რომელიც ჰგზავნის ამ ადამიანებს იქ, სადაც მათ აუცილებელი სიკვდილი მოელით?“

პრემიერ-მინისტრმა ჰანსონმა უპასუხა პეტერსონს და განაცხადა, რომ პეტერსონის ბიერ ხსენებული შემთხვევა გერმანიის ხელისუფალთათვის გერმანელი დეზერტირის გადაცემისა გამოძიებულ იქნება. „მაგრამ, — სთქვა ჰანსონმა, — ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა დეზერტირებით არ აივსოს“.

ეკაბეთი საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები „საბჭოთა საქართველოს“

წინსვლელებს ერთსულოვნად შეაქვთ თანხები

ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლას“ წევრებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში შეიტანეს 105.000 მანეთი. ამ კოლმეურნეობის თავჯდომარემ ამხ. იონა ფესტვენიძემ გაიღო 15.000 მანეთი, კოლმეურნეებმა ვლადიმერ ბერაძემ, იონა მუშკუდიანმა—5.000 მანეთი თითოეულმა, ხოლო გიორგი ტევიშვილმა—4.000 მანეთი. 3-3 ათასი მანეთი გაიღეს: თეოდორე ფესტვენიძემ, ლავრენტი კილაძემ, ირაკლი და სევერიანე მუშკუდიანმა, დავით შალიკაშვილმა, 2-2 ათასი მანეთი—ნადია ჭეიშვილმა და მარო ჭელიძემ.

შ. ჯავახაძე

ქუთაისის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

სახსრების შეგროვება წარმატებით გრძელდება

ხაშურის რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად შეაქვთ სახსრები საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად. მარტო ორ დღეში შეგროვებულ იქნა 99.000 მანეთი. აქედან საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა გაიღეს 28.000 მანეთი, ენერგომომარაგების უბნის მუშაკებმა—10.000 მანეთი. ხაშურის რაიონის კოლმეურნეები, რომლებმაც 1.258.000 მანეთი შეიტანეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად, ახლა განაგრძობენ სახსრების შეგროვებას საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიებისათვის. წრომის, სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში შეიტანეს 48.000 მანეთი. სახსრების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

დ. ფარემუზოვი

მგს-ის მუშაკთა წვლილი

ასურეთის მტს-ის მუშაკები ერთსულოვნად მოწონებით და მზარდაჭერით შეხვდნენ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად სახსრების შეგროვებას. კომკავშირელთა მესამე სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა საბრძოლო თვითმფრინავთა ასაგებ ფონდში შეიტანეს 9.400 მანეთი, მეორე სატრაქტორო ბრიგადისა — 6.400 მანეთი, ბრიგადირებმა: გ. ჯავახიშვილმა, ო. ოვაკიმოვმა და ი. დალაქიშვილმა შეიტანეს 1.600 მანეთი თითოეულმა, ტრაქტორისტმა მ. პაველევანოვმა გაიღო—2.000 მან. სულ ასურეთის მტს-ის მუშაკთა შორის შეგროვებულია 44.200 მანეთი. სახსრების შეგროვება გრძელდება.

დ. შალუტაშვილი

ასურეთის მტს-ის პოლიტგანყოფილების უფროსი.

პიონერების დანაზოგი

წალენჯიხის რაიონის ფახულანის საშუალო სკოლის პიონერებმა დაიწყეს საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად თავიანთი დანაზოგის შეტანა. ერთი დღის განმავლობაში 5 პიონერმა ნაღდად შეიტანა 13.000 მანეთი. აქედან ფრიადდამსახმა მოწაფეებმა, პიონერებმა ვახტანგ გოგოხიამ, ეორა გერგედავამ და ძალტუშა გოგოხიამ გაიღეს სამ-სამი ათასი მანეთი, ხოლო ცოცია და ეკატერინა — ორ-ორი ათასი მანეთი. პიონერებს ეს თანხები გამომუშავებული ჰქონდათ სახოხულო არდადეგების დროს კოლმეურნეობაში მუშაობით.

ელიზბარ უბილავა

ფახულანის საშუალო სკოლის დირექტორი.

ლექციები ჯ მოხსენებები

26 იანვარს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის, 41) შესდგება ამხ. ხულიომანის ლექცია თემაზე: **„სამამული ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები“** (რუსულ ენაზე).

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტის ბიბლიოთეკაში ღილის 9 ს. საღამოს 7 საათამდე.

26 იანვარს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროფესორ **ათაბეგოვის** ლექცია რაიონის მასწავლებელთათვის თემაზე: **„გერმანელი ბანკირებისა და ბარონების მანათმფლობელობის დანერგვა გერმანელი ფაშისტების მიერ“.**

შესვლა თავისუფალია.

კონსულტაცია

26 იანვარს, საღ. 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის, 41) ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება ამხ. **გ. ბაქრაძისა** და **ოლიანისის** კონსულტაცია აგიტატორებისათვის. თემა: **„როგორ ჩავატაროთ აგიტაციური სახადილო შეხვედრების დროს“.**

თეატრებში

სახოპერა — 26 იანვარს — „შოპენიანა“ და საბალეტო კონცერტი. 27 იანვარს — „ჟუგენოტები“. **რუსთაველის სახელობის** — 27 იანვარს — „სამშობლო“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 26 იანვარს — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 27 იანვარს — „ხანუმა“. **გრიბოედოვის სახელობის** — 26 და 27 იანვარს— „ფელდმარშალი კუტუზოვი“.

კონცერტი

26 იანვარს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მუსიკალური ათწლედის პედაგოგთა ფასიანი კონცერტი, რომელის მთელი შემოსავალი გადაირიცხება საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებ ფონდში.

კონცერტი დაიწყება საღამოს 7 საათზე.

კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და **ლუნაჩარსკის სახ.** — „სამი მუშკეტერი“, **დამკვრელი** — „დიდი ვალსი“, **კომკავშირელი**—„ბავშვოველები“, **სპარტაკი** და **26 კომ. სახ.** — „კონცერტი ფრონტისათვის“, **კომინტერნი** — „ხიდი“.

კინოექსპედ